



25/08/2022



N° 00000390

ბრძანება №390

შპს „თეგეტა აკადემიის“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესის“ ახალი რედაქციის დამტკიცების შესახებ

02.11.2017 წელს დამტკიცებული (სანოტარო მოქმედების რეგ. N: A171287872) შპს „თეგეტა აკადემიის“ წესდების 7.1, 7.3 და 7.7. მუხლებისა და შპს „თეგეტა აკადემიის“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესის“ მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. გაუქმდეს შპს „თეგეტა აკადემიის“ დირექტორის 15/08/2018 წლის NO8 ბრძანება და ჩამოყალიბდეს „პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი“ ახალი რედაქციით წინამდებრე ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. დაევალოს აკადემიის საქმისწარმოების მენეჯერს ნინო თუზბაიას წინამდებრე ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის გაცნობა.

შპს "თეგეტა აკადემია"
დირექტორი
ოხანაშვილი ნინო



შპს „თეგეტა აკადემია“

შპს „თეგეტა აკადემიის“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის,
მოზილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესი

თავი I. პროფესიული სტუდენტი, სტატუსის მოპოვება, სტატუსის შეჩერება, სტატუსის შეწყვეტა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. თეგეტა აკადემიის (შემდგომში „აკადემია“) პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ჩარიცხულია აკადემიის მიერ განხორციელებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (შემდგომში „პროგრამა“).
2. ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების მხარდასაჭერად, აკადემია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ყოველგვარი დამატებითი საფასურის გადახდის გარეშე:
 - ა) აცნობს პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობებს;
 - ბ) აწვდის ინფორმაციას კონკრეტულ პროგრამაზე დაშვების წინაპირობებისა და შერჩევის თავისებურებების შესახებ;
 - გ) აწვდის ინფორმაციას პროგრამაზე რეგისტრაციის პროცედურებთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, ეხმარება რეგისტრაციაში.
 - დ) აწვდის ინფორმაცია მის მიერ გასაწევი საგანმანათლებლო სერვისების, მათ შორის, პროგრამის თავისებურებების (მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სწავლის გაგრძელებისა და დასაქმების შესაძლებლობები, სწავლის ხანგრძლივობა და ინტენსივობა, პროგრამის შინაარსი და მისი განხორციელების ფორმა, თანაგანმახორციელებელი ორგანიზაციები, დაფინანსების შესაძლებლობები და სხვა მახასიათებლები) შესახებ.
3. აკადემიის მიერ განხორციელებულ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:
 - ა) დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსება;
 - ბ) აპლიკანტთა რეგისტრაცია;
 - გ) შერჩევა;
 - დ) აპლიკანტთა რეიტინგული სიის შედგენა, რომლის ფორმა მტკიცდება სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (შემდგომში - მართვის სისტემა) უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით;
 - ე) შედეგების გამოცხადება და პროგრამაზე ჩარიცხვა, რის საფუძველზეც აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი;
 - ვ) დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსება (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პირობები, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის, „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (შემდგომში „მინისტრის ბრძანება“), თეგეტა აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტების საფუძველზე და თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობების გათვალისწინებით. დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დადგენილ დაშვების წინაპირობასთან.
2. პროგრამაზე მიღების გამოცხადების მიზნით, აკადემია მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ პერიოდში ელექტრონულად ავსებს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული ფორმის ანკეტა-კითხვარს.

3. პროგრამაზე რეგისტრაციის მიზნით, დაინტერესებულმა პირმა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში უნდა გაიაროს რეგისტრაცია სარეგისტრაციო სისტემაში და დარეგისტრირდეს აპლიკანტად. სარეგისტრაციო სისტემა წარმოადგენს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის შემადგენელ ელექტრონულ მოდულს. ელექტრონული რეგისტრაციის შესავსები ველების ჩამონათვალი დგინდება მართვის სისტემის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.
4. რეგისტრაციისას სარეგისტრაციო სისტემაში შეტანილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია აპლიკანტი. სარეგისტრაციო სისტემაში მცდარი მონაცემების ასახვა შესაძლოა გახდეს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის ან პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ აკადემიის მიერ გამოცემული ბრძანების ნაწილობრივ ბათილად/ბათილად ცნობის საფუძველი.
5. რეგისტრაციის პროცესის დასრულების შემდეგ აკადემია იწყებს აპლიკანტთა შერჩევას, რაც აისახება სარეგისტრაციო სისტემაში. შერჩევა უნდა განხორციელდეს მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შერჩევის პერიოდის ფარგლებში.
6. აპლიკანტთა შეფასებისა და შერჩევის მიზნით აკადემიის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება 3 (სამი) კაცისგან შედგენილი შესარჩევი კომისია. იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (შემდგომში „დუალური პროგრამა“), აუცილებელია კომისიაში შედიოდეს დამსაქმებელი/პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი.
7. იმის გათვალისწინებით, რომ აკადემიის ორი პროგრამა მიეკუთვნება საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, ხოლო ერთი დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, მათზე ჩარიცხვის მიზნით შესაძლოა დარეგისტრირდეს მხოლოდ ის პირი, რომელსაც დამლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და აკმაყოფილებს ჩარჩო დოკუმენტით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს.
8. აპლიკანტთა შეფასებას აკადემია ახდენს ორ ეტაპად:
 - ა) პირველი ეტაპი - ტესტირება უცხო ენასა (რუსული ან ინგლისური) და უნარებში;
 - ბ) მეორე ეტაპი - მოტივაციური გასაუბრება;
9. თითოეული ეტაპის გადალახვისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი განისაზღვრება აკადემიის დირექტორის გადაწყვეტილებით.
10. შეფასების თითოეული ეტაპის ზუსტი თარიღების თაობაზე ინფორმაცია განთავსდება, სარეგისტრაციო სისტემაში და აკადემიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შეფასების თარიღის დადგომამდე არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღით ადრე, ასევე, აპლიკანტებს აღნიშნულის თაობაზე ეცნობებათ მათ მიერ სარეგისტრაციო სისტემაში რეგისტრაციის გავლისას მითითებულ საკონტაქტო რეკვიზიტებზე (ტელეფონის ნომერი ან/და ელ-ფოსტა).
11. აპლიკანტი ვალდებულია დროულად გამოცხადდეს ტესტირებაზე/გასაუბრებაზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გარეშე გამოცხადებული აპლიკანტი არ დაიშვება ტესტირებაზე/გასაუბრებაზე.
12. ტესტირებას მეთვალყურეობას უწევენ დამკვირვებლები, რომლებიც არ უნდა იყვნენ იმ პროგრამის განმახორციელებელი პირები, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შერჩევა.
13. მოტივაციურ გასაუბრებას ატარებს შესარჩევი კომისია. გასაუბრებისას კომისიის თითოეული წევრი ინდივიდუალურად აფასებს აპლიკანტს, წინასწარ დადგენილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით.
14. შესარჩევი კომისიის მუშაობის შედეგი აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი. იმ შემთხვევაში, თუკი სარეგისტრაციო სისტემა იძლევა აღნიშნულის შესაძლებლობას, ალტერნატიული ფორმით, კომისიის მუშაობის შედეგი შესაძლებელია აისახოს პირდაპირ ელექტრონულ პლატფორმაზე, ციფრულ ფორმატში.

15. იმ შემთხვევაში, თუ აპლიკანტი საპატიო მიზეზით ვერ გამოცხადდება შეფასებაზე, მას საშუალება აქვს განმეორებით ერთხელ გავიდეს ტესტირებაზე/გასაუბრებაზე, რისთვისაც ის განცხადებით მიმართავს დაწესებულების ხელმძღვანელს შეფასების თარიღიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღის ვადაში და წარადგენს შესაბამის მტკიცებულებას. განმეორებით შეფასებაზე გამოუცხადებლობა წარმოადგენს აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის საფუძველს. განმეორებითი შეფასება ტარდება განცხადების წარდგენიდან მაქსიმუმ ერთი კვირის განმავლობაში. განმეორებითი შეფასების შედეგები აპლიკანტს ეცნობება შეფასების ჩატარებიდან არაუგვიანეს 2 (ორ) სამუშაო დღეში.
16. აპლიკანტთა შეფასების შედეგებს აკადემია ასახავს სარეგისტრაციო სისტემაში, რომელიც აღნიშნული შედეგებისა და მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სხვა კომპონენტების გათვალისწინებით ადგენს რეიტინგულ სიას/სიებს.
17. **საბაზო პროფესიულ პროგრამაზე დგება ორი რეიტინგული სია განათლების მიღწეული დონის მიხედვით:**
 - ა) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური;
 - ბ) იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს.
18. **დუალური პროგრამის შემთხვევაში, აპლიკანტის შეფასების შედეგების გათვალისწინებით დგება ერთი რეიტინგული სია, რომელსაც აკადემიის დირექტორი ამტკიცებს ბრძანებით.** აღნიშნული ბრძანების საფუძველზე შედგენილი სია აისახება სარეგისტრაციო სისტემაში.
19. თუ აპლიკანტთა რაოდენობა ნაკლებია პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობაზე, რეიტინგულ სია დგება ყველა იმ აპლიკანტის გათვალისწინებით (მიუხედავად განათლების მიღწეული დონისა), რომელთა რეიტინგული ქულა უტოლდება ან აღემატება დაწესებულების მიერ პროგრამისთვის დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.
20. თანაბარი რეიტინგული ქულის მქონე აპლიკანტები რეიტინგულ სიაში დაიკავებენ ერთსა და იმავე ადგილს, ხოლო სიის ნუმერაცია გაგრძელდება თითოეული ადგილისთვის თანაბარქულიანი აპლიკანტების რაოდენობის გათვალისწინებით.
21. მართვის სისტემა, შერჩევის ეტაპის დასრულებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, სარეგისტრაციო სისტემაში უზრუნველყოფს:
 - ა) დაწესებულებისთვის აპლიკანტთა რეიტინგული სიების ხელმისაწვდომობას თითოეული პროგრამის მიხედვით.
 - ბ) აპლიკანტისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, რეიტინგში მისი ადგილის შესახებ, რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, ყველა არჩეული პროგრამის მიხედვით.
22. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი შერჩევის პროცესის მართვის მიზნით სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების მიერ შექმნილი სარეგისტრაციო სისტემა/ელექტრონული პლატფორმა იძლევა აპლიკანტის მიერ შერჩევის რომელიმე ეტაპზე მიღებული შედეგის ცვლილების შესაძლებლობას, აპლიკანტს უფლება აქვს წერილობითი განცხადებით გაასაჩივროს შერჩევის შედეგები მისი გაცნობიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.
23. საჩივრის განხილვის მიზნით დირექტორის ბრძანებით, იმავე ან მომდევნო სამუშაო დღეს იქმნება სააპელაციო კომისია (მინიმუმ 3 წევრი), რომლის შემადგენლობა განისაზღვრება საჩივრის შინაარსის მიხედვით, გასაჩივრებულთა პროცედურული საკითხები თუ მიღებული შეფასება.
24. სააპელაციო კომისიაში შეიძლება შედიოდნენ აკადემიის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პროფესიული განათლების მასწავლებლები, დარგის სპეციალისტები, დარგის დამოუკიდებელი ექსპერტები, ან/და პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი. დუალური პროგრამის შემთხვევაში საპელაციო კომისიაში უნდა შედიოდეს პროგრამის თანაგანმახორციელებელი და სხვა პარტნიორი ორგანიზაციის/ორგანიზაციების წარმომადგენელი.

25. სააპელაციო კომისია კომპლექტდება იმ პირებისგან, რომლებიც არ მონაწილეობდნენ შერჩევის პროცესში.
26. სააპელაციო კომისია ვალდებულია 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში განიხილოს საჩივარი და მიღებული დასაბუთებული გადაწყვეტილების თაობაზე აცნობოს საჩივრის ავტორს.
27. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს და უფლება აქვს ტესტირებისას აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურებისას ხელახლა შეაფასოს ნამუშევარი და დაწეროს უფრო მაღალი/დაბალი შეფასება ან ტესტირების პროცედურის დარღვევისას - დატოვოს იგივე შეფასება.
28. სააპელაციო კომისია განიხილავს აპლიკანტის საჩივარს, ეცნობა შესარჩევი კომისიის მუშაობის ამსახველ ოქმს (გასაუბრებისას) და იღებს გადაწყვეტილებას შეფასების კომისიის მიერ დაწერილი ქულის ძალაში დატოვების ან/და შეცვლის შესახებ. საკითხის მოკვლევისას შესაძლებელია განხორციელდეს აპლიკანტთან და კომისიის წევრებთან გასაუბრება.
29. სააპელაციო კომისია იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
 - ა) აპლიკანტის მიერ შერჩევის პროცედურის დარღვევისას – მისი ნული ქულით შეფასების თაობაზე;
 - ბ) აპლიკანტის უფლებების დარღვევის დადასტურებისას – მისი შეფასების გადახედვის თაობაზე.
30. სააპელაციო კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ერთი სამუშაო დღის ვადაში ეცნობება აპლიკანტს ტელეფონის ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
31. სააპელაციო კომისიის მუშაობის შედეგი აისახება ოქმში. ოქმს ხელს აწერს კომისიის თავჯდომარე და მდივანი.
32. აკადემია დირექტორის ბრძანების საფუძველზე აპლიკანტებს პროგრამაზე რიცხავს გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და რეიტინგულ სიაში აპლიკანტის რიგითობის გათვალისწინებით, უმაღლესიდან უმდაბლესისკენ, აპლიკანტის მიერ წერილობით გამოხატული ნების საფუძველზე. პროგრამაზე ჩარიცხვის მომენტიდან აპლიკანტს ენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
33. **საბაზო** პროფესიულ პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის:
 - ა) 70%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონეა ზოგადი განათლების საბაზო საფეხური;
 - ბ) 30%-ის ფარგლებში, ჩარიცხვა ხორციელდება იმ აპლიკანტთა რეიტინგული ქულის გათვალისწინებით, რომელთა განათლების მიღწეული დონე აღემატება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურს.
34. პროგრამაზე მისაღები ადგილების რაოდენობის ფარგლებში მიღწეული განათლების დონის მიხედვით გამოყოფილი ადგილების შეუვსებლობის შემთხვევაში, ეს ადგილები გამოიყენება მეორე რეიტინგულ სიაში მყოფ აპლიკანტთა ჩარიცხვისთვის.
35. აპლიკანტი, რომელსაც რეგისტრაციისას არჩეული აქვს რამდენიმე პროგრამა, უფლებამოსილია ჩარიცხოს მხოლოდ ერთ პროგრამაზე.
36. რეიტინგულ სიაში, აპლიკანტის ადგილს იკავებს რეიტინგული სიის მიხედვით შემდეგი აპლიკანტი:
 - ა) დაწესებულების მიერ აპლიკანტის ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
 - ბ) აპლიკანტის მიერ ჩარიცხვაზე უარის თქმის შემთხვევაში;
 - გ) აპლიკანტის სხვა პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში.
37. თუ ორი ან ორზე მეტი აპლიკანტი რეიტინგულ სიაში მოხვდა თანაბარი რეიტინგული ქულით და მათი პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს ამ საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებულ ადგილების რაოდენობას,

დაწესებულებას შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე დაემატება მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ის რაოდენობა, რაც აუცილებელია ამ პუნქტით განსაზღვრული თანაბარქულიანი აპლიკანტების ჩასარიცხად.

38. თუ ამ მუხლის 37-ე პუნქტის საფუძველზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა გადააჭარბებს აკადემიის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის გამოყოფილი ადგილებისთვის შესაბამის წელს განსაზღვრული მისაღები პროფესიული სტუდენტების რაოდენობის ფარგლებს, დამატებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა მოაკლდება მოცემულ პროგრამაზე შემდეგ წელს მისაღებ ადგილებს, ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში - სწავლების შესაბამის ფორმაზე/სასწავლო გეგმაზე არსებულ თავისუფალ ადგილებს.
39. აკადემია უზრუნველყოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა შესახებ ინფორმაციის ასახვას პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.
40. პროფესიულ სტუდენტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით დაწესებულება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ასახავს ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.
41. შესავსები ადგილების რაოდენობა განისაზღვრება ჩარიცხვის დასრულების შემდეგ პროგრამაზე მისაღები ადგილებიდან დარჩენილი თავისუფალი ადგილების მიხედვით.
42. მართვის საინფორმაციო სისტემა უზრუნველყოფს, იმ აპლიკანტებისათვის დარჩენილი თავისუფალი ადგილების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელთაც ვერ მოიპოვეს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
43. პროგრამებზე თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით, აპლიკანტთა შერჩევა, რეიტინგული სიების შედგენა, შედეგების ასახვა და ჩარიცხვა ხორციელდება ამ წესის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით დამტკიცებული წესის შესაბამისად.
44. დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების პროცესი სრულდება დაწესებულების მიერ სწავლის დაწყების თარიღის დადგომამდე.
45. აკადემიის მიერ დადგენილი განაცხადის შევსებულ ფორმას პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მოთხოვნის თაობაზე, თან ერთვის:
 - ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ბ) კანონმდებლობით განსაზღვრული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი ან დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (საბაზო განათლების/ზოგადი განათლების მიღების დამადასტურებელი);
 - გ) უცხოეთში/ოკუპირებულ ტერიტორიაზე მიღებული განათლების შემთხვევაში - განათლების აღიარების დოკუმენტი;
 - დ) ორი ფოტოსურათი 3x4;
 - ე) არასრულწლოვანი აპლიკანტის შემთხვევაში - განმცხადებლის/ხელშეკრულებაზე ხელმოწერი პირის პირადობის მოწმობა და დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის სათანადო უფლებამოსილებას წარმომადგენლობაზე (დაბადების მოწმობა/მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა).
46. ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის წარდგენა უნდა მოხდეს აპლიკანტისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებიდან 1 (ერთი) კალენდარული დღის ვადაში.
47. აკადემია უფლებამოსილია უარი განაცხადოს აპლიკანტის პროგრამაზე ჩარიცხვაზე თუკი:
 - ა) აპლიკანტი დადგენილ ვადაში აკადემიას არ წარუდგენს წინამდებარე წესით დადგენილ დოკუმენტაციას;

- ბ) ჩარიცხვის გადაწყვეტილების მიღებამდე აკადემიისათვის ცნობილი გახდება რომ აპლიკანტმა სარეგისტრაციო სისტემაში მიუთითა მცდარი ინფორმაცია;
48. წინამდებარე წესით დადგენილი დოკუმენტაციის წარდგენის შემდეგ პროფესიულ სტუდენტთან ან მათ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ფორმდება პროფესიული სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება.
 49. სპეცილური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტები აკადემიაში ირიცხებიან პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ზემოთ გამოცხადებული ადგილების 15%-ის ფარგლებში;
 50. აკადემია განიხილავს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ მომზადებულ რეკომენდაციებს, თანდართულ დოკუმენტაციას და იღებს გადაწყვეტილებას პირის პროგრამზე ჩარიცხვის შესახებ;
 51. თუ პროგრამაზე დარეგისტრირებული აპლიკანტების რაოდენობა აღემატება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტისთვის გათვალისწინებული ადგილების რაოდენობას, ჩარიცხვის დროს უპირატესობა ენიჭება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტს, რომელიც პირველად მოიპოვებს პროფესიული სტუდენტის სტატუსს.
 52. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა პროგრამაზე ჩარიცხვის მიზნით დაწესებულების მიერ გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. მონაცემები აისახება სარეგისტრაციო სისტემაში და ხდება აპლიკანტის ინფორმირება სატელეფონო ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით.
 53. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე აპლიკანტთა ჩარიცხვის დასრულების შემდეგ დარჩენილი თავისუფალი ადგილების შევსების მიზნით დაწესებულება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ განსაზღვრულ ვადებში ასახავს ინფორმაციას შესავსები ადგილების შესახებ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

მუხლი 3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება აკადემიისა და პროფესიული სტუდენტის გათავისუფლება თავიანთი უფლება-მოვალეობების შესრულებისგან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ გამოიცემა აკადემიის დირექტორის ბრძანება;
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;
 - გ) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;
 - დ) უცხოეთის საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის გაგრძელება;
 - ე) სამხედრო სამსახურში ან რეზერვში ჩარიცხვა (თუკი პროფესიულ სტუდენტი შესაბამის დაწესებულებას არ მოსთხოვს სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებას აკადემიაში პროფესიული სტუდენტის სტატუსის ქონის საფუძველზე), რაც გამორიცხავს პარალელურ რეჟიმში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას;
 - ვ) პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანამდე;
 - ზ) მობილობის ფარგლებში სხვა სასწავლებელში გადასვლის შესახებ განცხადების დარეგისტრირება;
 - თ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სხვა შემთხვევები.

4. პროფესიულ სტუდენტს, სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, თუმცა სწავლის გაგრძელებისას ჩაეთვლება სწავლის საფასურში;
5. სტატუსის შეჩერების პერიოდში დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება ან დამატებითი პირობების დაწესება აღდგენისათვის;
6. თუ პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი აქვს შეჩერებული, მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას, აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს მისი მიწოდება მოთხოვნიდან სამ სამუშაო დღეში.
7. პროფესიული სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 3 კალენდარული წლის ვადით. ამ ვადაში სტატუსის აღდგენის გადაწყვეტილების მიუღებლობის შემთხვევაში ხდება სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
8. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი, არ განიხილება აკადემიის სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ფარგლებში. სტუდენტთა რაოდენობის აღრიცხვის მიზნით აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ორგანიზებულ ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - „ელექტრონული სისტემა“) პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.
9. იმ შემთხვევაში, თუ აკადემია იქნება ლიკვიდირებული უფლებამონაცვლის გარეშე ან აკადემია დაკარგავს პროგრამის განხორციელების უფლებას ან საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს, პროფესიული სტუდენტები მიიჩნევიან პროფესიული სტუდენტის სტატუსშეჩერებულ პირებად და მათზე გავრცელდება მობილობისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პირობები.

მუხლი 4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ აღმოფხვრლი იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, სტუდენტი სწავლას აგრძელებს შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამაზე შემდგომი მიღების ფარგლებში, ან, ინდივიდუალური გეგმით პროგრამის იმ ეტაპიდან, როდესაც მას შეუჩერდა სტატუსი.
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური;
4. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა აკადემიის დირექტორის ბრძანება;
5. აკადემიის პროფესიული სტუდენტისთვის სტატუსის აღდგენა დასაშვებია კონკრეტულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება შესაბამის პროგრამაზე მომდევნო მიღებისთვის აკადემიის მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.
6. თუ პროფესიული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის მომენტისთვის აკადემია აღარ ახორციელებს იმ პროგრამას, რომელზეც პროფესიულ სტუდენტს შეუჩერდა სტატუსი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სხვა პროგრამაზე მობილობის განხორციელების გზით.

მუხლი 5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა ნიშნავს აკადემიისა და სტუდენტის გათავისუფლებას თავიანთი უფლება-მოვალეობების შესრულებისგან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის უფლების გარეშე.
2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა აკადემიის დირექტორის ბრძანება;
3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
 - ა) პირადი განცხადება;
 - ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
 - გ) გარდაცვალება;
 - დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა.
 - ე) აკადემიის სასწავლო შინაგანაწესის ნორმათა დარღვევის საფუძველზე სტუდენტის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის სახედ სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის ღონისძიების გამოყენება.
 - ვ) პროფესიული სტუდენტის მიმართ სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;
 - ზ) აკადემიისთვის ისეთი ყალბი დოკუმენტის ან არასწორი ინფორმაციის წარდგენა ან ისეთი ინფორმაციის წარუდგენლობა, რაც გავლენას იქონიებდა პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის შესახებ დადებითი გადაწყვეტილების მიღებაზე;
 - თ) იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე წესით დადგენილ ვადაში არ მოხდება პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა;
 - ი) საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციით დადგენილ სხვა შემთხვევებში;
 - კ) ერთი და იმავე სწავლის შედეგის განმეორებით დაუდასტურებლობა;
 - ლ) სამუშაოზე დააფუძნებული სწავლების პერიოდში შუალედურ გამოცდაზე ან/და დამატებით შუალედურ გამოცდაზე არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობა;
 - მ) სამუშაო დაფუძნებული სწავლების პერიოდში წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არანაკლებ 3-ჯერ ჩანაწერების ჟურნალის შეუვსებლობა;
 - ნ) სამუშაო დაფუძნებული სწავლების პერიოდში წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით საწარმოში არანაკლებ 3-ჯერ გამოუცხადებლობა;
 - ო) საწარმოსთან გაფორმებული სტაჟირების ხელშეკრულების შეწყვეტა.
4. თუ პირი, რომელსაც შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი, მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას, აკადემია ვალდებულია უზრუნველყოს მისი მიწოდება მოთხოვნიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში;
5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის მარეგულირებელი აქტებით დადგენილი წესით.

მუხლი 6. მობილობა

1. მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:
 - ა) თუ აკადემიის პროფესიულ სტუდენტს სურს აკადემიის მიერ განხორციელებული ერთი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა (შიდა მობილობა);
 - ბ) თუ აკადემიის პროფესიულ სტუდენტს სურს სხვა დაწესებულებაში გადასვლა (გარე მობილობა);

ბ) თუ სხვა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს სწავლის გაგრძელება აკადემიაში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე (გარე მობილობა);

2. აკადემიაში მობილობა ცხადდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით. ბრძანებით განისაზღვრება ის საგანმანათლებლო პროგრამები რომლებზეც გამოცხადებულია მობილობით სტუდენტების მიღება, თავისუფალი ადგილების რაოდენობა, კონკურსანტის მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაცია და მობილობის ვადები.
3. გარე მობილობისა და შიდა მობილობის უფლება აქვს პირს რომელმაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი მოიპოვა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და რომელიც მობილობის განხორციელების მომენტისათვის არის პროფესიული სტუდენტი ან შეჩერებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
4. პროფესიული სტუდენტის მობილობა ხორციელდება შესაბამისი პროგრამისათვის განსაზღვრული, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის ფარგლებში.
5. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების პირველი მუხლით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ (დანართი №1) ერთი და იმავე დონის შესაბამისი კვალიფიკაციის მიმნიჭებელი პროგრამის ფარგლებში.
6. მობილობის უფლება პროფესიულ სტუდენტს წარმოეშობა მხოლოდ იმ პროგრამაზე, რომელზე დაშვების წინაპირობასაც ის აკმაყოფილებს.
7. გარე მობილობით სტუდენტების მიღება ხდება რიგითობის მიხედვით, ვაკანტური ადგილების შევსებისთანავე სტუდენტების საბუთების მიღება წყდება/განხილვა წყდება.
8. შიდა/გარე მობილობით ჩარიცხვის უფლების მოპოვების მიზნით პროფესიული სტუდენტი, ხოლო არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში მისი კანონიერი წარმომადგენელი განცხადებით მიმართავს აკადემიის დირექტორს. განცხადებაში უნდა აღინიშნოს იმ პროგრამის სახელწოდება, რომელზეც პირს სურს გადასვლა. ასევე, მობილობის მსურველი პირი ვალდებულია აკადემიაში წარადგინოს სტუდენტის სტატუსის არსებობის დამადასტურებელი ინფორმაცია და ინფორმაცია გავლილი მოდულების/დადასტურებული სწავლის შედეგების შესახებ. აკადემიის მიერ შესაძლებელია მოთხოვნილ იქნას სხვა დოკუმენტები, რაც ეცნობება მობილობი მსურველ პირს და განესაზღვრება ვადა აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოსადგენად.
9. გარე მობილობის შემთხვევაში აკადემია უფლებამოსილია ელექტრონული სისტემიდან დამატებით მოიპოვოს ინფორმაცია პროფესიული სტუდენტის სტატუსის, არსებობის შემთხვევაში სტატუსის შეჩერების საფუძვლების და მის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შესახებ.
10. აკადემია უფლებამოსილია უარი განაცხადოს პირის მობილობით ჩარიცხვაზე, თუ:
 - ა) აკადემიას არ აქვს ვაკანტური ადგილები პროგრამისათვის განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის ფარგლებში;
 - ბ) აკადემიამ ვერ უზრუნველყოფს მობილობის მსურველი პირის შემდგომ განათლებას მიმდები პროგრამის განხორციელების სპეციფიკის გათვალისწინებით;
 - გ) მობილობის მსურველი ვერ აკმაყოფილებს აკადემიის მიერ პროგრამაზე ჩარიცხვისათვის დადგენილ წინაპირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
11. მობილობის მსურველი პირის განცხადების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება პირის ჩარიცხვის ან ჩარიცხვაზე უარის თქმის შესახებ ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

12. აკადემია ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების გზით ადგენს მის მიერ შეთავაზებულ პროგრამასთან მობილობის მსურველი პირის მიერ სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების თავსებადობას საქართველოს კანონმდებლობითა და აკადემიის შიდა მარეგულირებელი აქტით დადგენილი წესის შესაბამისად.
13. აღიარება, შესაბამისი კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე ფორმდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით, რომელშიც მიეთითება მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა მიმღები, ხოლო შიდა მობილობის შემთხვევაში – იმავე დაწესებულების სხვა პროგრამასთან, ასევე აღიარებული სწავლის შედეგები და კრედიტების რაოდენობა. საჭიროების შემთხვევაში დაწესებულება ვალდებულია პროფესიული სტუდენტის ინტერესების გათვალისწინებით შეადგინოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა.
14. აღიარების შედეგების შესაბამისად, აკადემიის დირექტორი მობილობის მსურველი პროფესიული სტუდენტის თანხმობის საფუძველზე, გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტის მობილობით ჩარიცხვის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს ელექტრონულ სისტემაში.
15. მობილობის დროს მოდულის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება მოდულის გავლა.
16. დირექტორის ბრძანების საფუძველზე აკადემიაში მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან ფორმდება პროფესიული სტუდენტის სასწავლო ხელშეკრულება.
17. გარე მობილობის შემთხვევაში, თუ პირი აკადემიიდან გადადის სხვა დაწესებულებაში, ელექტრონულ სისტემის მონაცემების საფუძველზე, აკადემიის დირექტორი გამოსცემს ბრძანებას პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე და ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით ასახავს სისტემაში.

მუხლი 7. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში თეგეტა აკადემია ახდენს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის საჭირო კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების გატარებას.
2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანის შემთხვევაში, ცვლილებები არ ვრცელდება საგანმანათლებლო პროგრამაზე რიცხული პროფესიული სტუდენტების მიერ უკვე გავლილ მოდულებსა და დადასტურებულ სწავლის შედეგებზე და სტუდენტები განაგრძობენ სწავლას განახლებულ (ცვლილებაშეტანილ) საგანმანათლებლო პროგრამაზე ან საგანმანათლებლო პროგრამა გადავა მიღწეულ რეჟიმში, მიმდინარე საფეხურის დასრულებამდე;
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ სასწავლო პროცესისა და ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული დასკვნისა და აკადემიის დირექტორის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს უნდა მიეცეთ მიმდინარე პროგრამის დასრულების შესაძლებლობა. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამა გადადის მიღწეულ რეჟიმში, მიმდინარე საფეხურის დასრულებამდე.

- აკადემიის ავტორიზაციის გაუქმების შემთხვევაში აკადემია ხელს შეუწყობს სტუდენტთა მობილობის პროცესს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში. აღნიშნული მიზნით აკადემიას სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან გაფორმებული აქვს შესაბამისი მემორანდუმები/ხელშეკრულებები. გარდა ამისა, აკადემია მუდმივ რეჟიმში განაგრძობს იმგვარი ავტორიზებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ძიებას, რომლებიც განახორციელებენ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებულ საავტომობილო სერვისების მიმართულების პროფესიულ პროგრამებს და რომლებშიც შესაძლებელი იქნება აკადემიის პროფესიული სტუდენტის გადაყვანა მობილობით.

მუხლი 8. ფორმალური განათლების აღიარება

1. ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობისა და აკადემიის შესაბამისი შიდამარეგულირებელი აქტის საფუძველზე.

მუხლი 9. არაფორმალური განათლების აღიარება

1. აკადემია, როგორც არაფორმალური განათლების აღიარებაზე უფლებამოსილი პირი, უფლებამოსილია არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება განახორციელოს მხოლოდ იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც აქვს ავტორიზაციის შედეგად მოპოვებული, ასევე, მხოლოდ იმ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის ფარგლებში, რომლის განხორციელების უფლებაც მოპოვებული აქვს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარება ხდება დირექტორის ბრძანებით შექმნილი შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობისა და აკადემიის შესაბამისი შიდამარეგულირებელი აქტის საფუძველზე.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესი ამოქმედდეს დამტკიცების დღიდან.
2. „შპს „თეგეტა აკადემიის“ პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მობილობისა და მიღებული განათლების აღიარების წესის“ გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით.